ს ო ნ ე ტ ი

ფართო ქეჩებში დავივიწყეთ ნელი თამაში,
წყრომით იკივლებს ჩემს ცხელ ტანში შენი სხეული.
მაშინებს ყოფნა, ყრუ ფიქრებში გამოხვეული,
და მაგონდება აბრეშუმის თეთრი გამაში.

ცრემლი იფეთქებს დაბნელებულ ყრუ ყაზარმაში,
მაღლა აიწევს ყვითელ ფრთებით ნაზი ეული,
დაბურულ ტყეში ჩუმად ივლის ლანდი გრძნეული,
მავი წირვები ატირდება წითელ ნარმაში.

ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი
ღა ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით.
ცხო ღამეში მოკრძალებით ჩვენ თითქო სამი

ისევ ერთმანეთს დავშორდებით შორი მანძილით.
როცა დადგება მოთენთილი თეთრი მაისი,
ჩვენ შეგვაერთებს ელვარებით ნაზი დაისი.